

УДК 004: 614.2 : 338.24

საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის სრულყოფის მიმართულებები ინოვაციური მოდელის ფორმირების საფუძველზე

ეკატერინე სანიკიძე

(სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

აბსტრაქტი

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის განვითარების პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვნად უკავშირდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ბაზრის მართვის, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის, არაკომერციული ორგანიზაციების განვითარების, საქმიანობის მაღალ დონეზე ორგანიზებას და მრავალი სხვა საკითხის გათვალისწინებამ განაპირობა საკვლევ დარგის სისტემაში არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობა და ჩვენს მიერ დასახული თემის აქტუალურობა.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ჯანდაცვის სექტორში საყოველთაო ჯანდაცვის/სჯდ-ის სრულყოფის მიმართულებები ინოვაციური მოდელის ფორმირების საფუძველზე. წარმოდგენილია ჯანდაცვის ინოვაციური სისტემის და საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის აქტუალური ასპექტები, გაანალიზებულია მათი შემადგენელი ძირითადი კომპონენტები, განსაკუთრებით წარმოჩენილია აღნიშნულ მოდელში განათლებისა და მეცნიერების როლი და მნიშვნელობა.

შემუშავებულია წინადადებები და პრაქტიკული რეკომენდაციები ჯანდაცვის სექტორში სჯდ-ის ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმის ეტაპების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველების შესახებ.


საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, ინოვაციური პროცესი, ჯანდაცვის ინოვაციური ტექნოლოგიები და მოდელი, საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელი.

ჯანდაცვა სახელმწიფო ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. მედიცინის განვითარების დონეზე დამოკიდებული მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარისხი, რასაც ადასტურებს ის აქტივობები, რომელიც ჯანდაცვის სექტორში ვითარდება.

საქართველოს მთავრობა ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ჯანდაცვის ეფექტურობის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, მხარს უჭერს სოციალურად ორიენტირებულ ინოვაციურ პროექტებს ჯანდაცვის ინდუსტრიაში ქვეყნისა და მისი რეგიონების მასშტაბით, სადაც ნიშანდობლივია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული და მიღებული ჯანდაცვის განვითარების გრძელვადიანი 2020 – 2030 წლების სტრატეგია, სადაც ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: პჯდ-ის სისტემის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰოსპიტალური ქსელის გაძლიერება; ასევე, ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების მოტივაციის გაზრდა, ხარისხიან სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ

ინტელექტზე ეტაპობრივი გადასვლა და სხვ. [1, 2]

თანამედროვე ჯანდაცვის სფეროში ინოვაციური საქმიანობა გადაუდებელ აუცილებლობად რჩება. ამიტომ, ინდუსტრიაში არსებული ინოვაციების მდგომარეობისა და პერსპექტივების საკითხები მოთხოვნადია ინდუსტრიის, ხელისუფლების, ჯანდაცვის ორგანიზატორებისა და სამეცნიერო საზოგადოების მიერ. გლობალიზაციის პროცესები და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობების გაფართოება ყოვლისმომცველ გავლენას ახდენს მედიცინის სფეროზე, რომელთა შორის აღსანიშნავია, ისეთი ახალი მიმართულებების გაჩენა სხვადასხვა ფუნდამენტურ მეცნიერებათა კვებაზე (გენური დიაგნოსტიკა და თერაპია, ნეიროგეზუალურიზაცია, ონკო და ნეიროიმუნოლოგია, ნეიროტრანსპლანტაცია, ფარმაკოგენეტიკა და ა. შ. დისციპლინები), რომლებიც სწავლობენ ადამიანის ჯანმრთელობის თანამედროვე მეტად აქტუალურ პრობლემებს. სამედიცინო დაწესებულებების ინოვაციური პროცესის სტრუქტურა ნაჩვენებია პირველ ნახაზზე.



ნახ. 1. ჯანდაცვის ინოვაციური პროცესის სტრუქტურა [3]

ამასთან, იზრდება ჯანდაცვის სისტემების ინტეგრაცია, მ. შ. საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, ფარმაცევტული და ბიოსამედიცინო პროდუქტების

ტრანსნაციონალური დისტრიბუციის გზით, იზრდება მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ურთიერთქმედება, ინვესტიციები ჯანდაცვის სფეროში ადამიანური კაპიტალისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში და სხვ.


თუმცა, გადამწყვეტი ფაქტორია სასურველი საბოლოო შედეგების მიღება ანუ თანამედროვე სამედიცინო მიღწევების სარგებელი პაციენტებისთვის ჯანმრთელობის გაუმჯობესებული შედეგების სახით, რომელიც ნიშნავს თეორიული ცოდნისა და უნარების გადატანას პრაქტიკულ ჯანდაცვაში. სამედიცინო ინდუსტრიის განვითარების კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია ცოდნისა და განვითარებული და გამოყენებული ტექნოლოგიების გადაცემა ჯანდაცვის ერთი პროვაიდერიდან მეორეზე, ანუ ე. წ. ტექნოლოგიების ტრანსფერი, რაც დაკავშირებულია ახალი სამედიცინო ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასთან.

ინოვაციური პროცესი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ტექნოლო-გიური ინოვაციების განვითარება, არის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ნაწილი და მოიცავს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიის შემოსვლას ინვესტიციების სრულ დაბრუნებამდე. ინოვაციური აქტივობა ასევე, მიმდი-ნარეობს ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის შემდგომ ფაზებში, როდესაც ის ნაწილობრივ უმჯობესდება ინოვაციური ტექნოლოგიების გაუმჯობესების საფუძველზე ან ახალი მოდელის შექმნისას, რომელმაც უნდა მოიცვას სამედიცინო მეცნიერების ერთიანობა, უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის განვითარება, წამყვან ქვეყნებთან და კვლევით ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარება, მიზნობრივი უწყებათაშორისი სამედიცინო სამეცნიერო პროგრამების შექმნა და სხვ.

ინოვაციური პროცესი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარება, არის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ნაწილი და მოიცავს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიის შემოსვლას ინვესტიციების სრულ დაბრუნებამდე. ინოვაციური აქტივობა ასევე მიმდინარეობს ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის შემდგომ ფაზებში, როდესაც ის ნაწილობრივ უმჯობესდება ინოვაციური ტექნოლოგიების გაუმჯობესების საფუძველზე ან ახალი მოდელის შექმნისას.

ყველა ეკონომიკური პროცესი დროში მიმდინარეობს, ე.ი. აქვს დასაწყისი, წინ მოძრაობა და დასასრული. ადამიანების მოთხოვნილებები იცვლება ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას. ანალოგიურად, ნებისმიერი საქონელი და მომსახურება, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში, გადის ეტაპების სერიას, რომლებიც ერთად წარმოადგენს ერთგვარ სასიცოცხლო ციკლს, რომლის დროსაც ინოვაციას აქვს აქტიური სიცოცხლის ძალა და მწარმოებლისთვის და/ან გამყიდველისთვის მოაქვს მოგება ან სხვა რეალური სარგებელი. ამიტომ, მიზანშეწონილია ჯანდაცვის სფერო განიხილებოდეს როგორც ურთიერთდაკავშირებული მრავალდონიანი სტრუქტურების ფუნქციონირება, რომლებიც განსაზღვრავენ საბოლოო შედეგს, რომლითაც ფასდება მთლიანობაში ჯანდაცვა როგორც ერთიანი სისტემა.

ჯანდაცვის სისტემის განვითარების ინოვაციური მოდელი მოიცავს სამედიცინო მეცნიერების ერთიანობას, უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის განვითარებას, წამყვან ქვეყნებთან და კვლევით ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარებას და მიზნობრივი უწყებათაშორისი სამედიცინო სამეცნიერო პროგრამების შექმნას (იხ. ნახ. 2).



ნახ. 2. ჯანდაცვის განვითარების ინოვაციური მოდელის ინსტრუმენტები [3]

სამედიცინო დაწესებულება ეფექტური ჯანდაცვის სისტემის ძირითადი სტრუქტურული ელემენტია, რომლის დანიშნულებაცაა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების გაწევა. სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობა მიზნად ისახავს პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას (დიაგნოსტიკა, ლაბორატორიული კვლევები, მკურნალობა სპეციალიზებულ განყოფილებებში, წამლისმიერი და ლოჯისტიკური დახმარება, კვება, პალატების კომფორტის ხარისხი და ა.შ.). ამასთან, სამედიცინო დაწესებულება არის რთული მრავალფუნქციური სისტემა, რომლის წარმატება დამოკიდებულია მრავალფეროვანი კომპლექსური სტრუქტურული დიაგნოსტიკური და სამკურნალო და არასამედიცინო დახმარების მიმართულებების ეფექტიან კოორდინირებულ ორგანიზაციასა და მართვაზე.

მედიცინის სფეროში ინოვაციების განვითარების წამახალისებელი მექანიზმი, პირველ რიგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის საბაზრო კონკურენცია. საბაზრო პირობებში, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები მუდმივად იძულებულნი არიან ეძებონ გზები წარმოების ხარჯების შესამცირებლად და თავიანთი მომსახურების გასაყიდად ახალ ბაზრებზე შესვლისათვის. სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მზარდი კონკურენცია აუცილებელს ხდის ეფექტიანად გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- უახლესი აპარატურის და ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული ინოვაციური სამედიცინო სერვისების განვითარება;
- პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ახალი მეთოდების, ახალი მედიკამენტების და სამედიცინო მოწყობილობების ოპტიმალური გამოყენება;
- სამედიცინო მონაცემების ელექტრონულ მედიაზე შენახვისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების რაციონალური დანერგვა;
- პაციენტებისთვის სათანადო პირობების შექმნა;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების არსებობა და სხვ.

საბაზრო ინოვაციების მრავალფეროვნებით, მათი პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა ინოვაციებში ინვესტიციების საკმარისი მოცულობის მოზიდვა, რომელიც ხორციელდება მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში სიახლეების დანერგვის მიზნით. საგულისხმოა, რომ ინოვაციებში ინვესტიციები ორიენტირებულია სამომავლო შედეგზე და, როგორც წესი, დაუყოვნებლივ არ ანაზღაურდება, რაც მათ სარისკოს ხდის.

ჯანდაცვის სისტემაში ინოვაციური პროცესების და მოდელის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მათი მამოძრავებელი ძალა სახელმწიფო ადმინისტრაციაა, ხოლო საინოვაციო პოლიტიკის სახელმწიფო რეგულირების მთავარი ობიექტია ტერიტორიის (ქვეყანა, რეგიონი და ა.შ.) პოტენციალი. ამასთან, ჯანდაცვის სისტემისთვის ინოვაციებსა და ინოვაციურ აქტივობებს სხვადასხვა დონეზე თავისი სპეციფიკური მახასიათებლები აქვს და სამედიცინო დაწესებულება არის მთავარი აღმასრულებელი რგოლი.

საინოვაციო პოლიტიკის ცენტრალური მექანიზმი არის საკვლევ სფეროში საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პირობების შექმნა. მენეჯმენტის სხვადასხვა დონის ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა გავლენას ახდენს ტერიტორიის ჯანდაცვის ინოვაციური საქმიანობის ხარისხზე წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ჯანდაცვის ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ამოცანები [3]

№	სახელმწიფო დონეზე	რეგიონულ დონეზე	მუნიციპალურ დონეზე
1	2	3	4
2	საინოვაციო პროცესების განხორციელებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის შექმნა	ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	ტერიტორიული საინოვაციო პოლიტიკის მიმართულებების განხორციელება
3	მეცნიერების განვითარება, მედიაცია აკადემიურ და გამოყენებით მეცნიერებას შორის ეფექტური ურთიერთქმედების და თანამშრომლობის ორგანიზებაში	კვლევების ჩატარება ინოვაციების სფეროში	ადექვატური მართვის სისტემის შექმნა
4	ინდუსტრიის მდგრადი განვითარება	ტერიტორიული საინოვაციო პოლიტიკის ფარგლებში ინოვაციური განვითარების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა	ძალისხმევის კონცენტრაცია სოციალური საკითხების გადაჭრაზე
5	დარგობრივი პოლიტიკის შემუშავება ინოვაციების სფეროში	სხვა რეგიონებთან ტექნოლოგიური თანამშრომლობის	საკუთარი ინოვაციური პროექტების და პროგრამების განვითარება

		ხელშეწყობა	
6	ტერიტორიული დისპროპორციების გათანაბრება	ინტეგრაცია ტექნოლოგიების გადაცემის რეგიონთაშორის ქსელებში	ეკონომიკური თვითკმარისობის ზრდა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით
7	ხელსაყრელი ინოვაციური გარემოს შექმნა	სისტემის ფუნქციონირების ყოვლისმომცველი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მ. შ. რეგიონულ-ლი სტრატეგიისა და პროგრამე-ზის შესაბამისად საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა	რეგიონულ ორგანოებთან ურთიერთობა და მათი ინტერესების დაცვა
8	რეგიონების ორგანიზაციული-მეთოდოლოგიური მხარდაჭერა	სისტემის მუშაობის მიზნებისა და ამოცანების დასახვაში მონა-წილეობა, მონიტორინგი და შეფასება	-
9	ინოვაციური იდეების მთავარი წყაროს სამეცნიერო და ორგანიზაციული პერსონალის მომზადება	ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებთან, მ. შ. ცალკეულ ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების კოორდინაცია	საკუთარი კომპეტენტურ-რი საკადრო პოლიტიკის შემუშავება, ახალგა-ზრდა კადრების მოზი-დვა და მხარდაჭერა
10	-	ხელშეწყობი მხარდაჭერა სახელმწიფო დონეზე	მოსახლეობის და დამსაქმებელთა ინფორმირება


ჯანდაცვის ინოვაციურ განვითარებაზე გავლენის ფაქტორებს შორის აღსანიშნავია:

- მოწინავე ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა ჯანდაცვის პრაქტიკაში;
- ახალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომელიც მიმართულია ჯანდაცვის ბაზრის ფორმირებაზე;
- რესურსების დაზოგვის პოლიტიკის განხორციელება, არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება;
- ჯანდაცვის მუშაკების დანტერესების მიზნით სტიმულის შექმნა მუშაობის საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე;
- ჯანდაცვის ორგანიზაციებს, საწარმოებსა და მოქალაქეებს შორის რაციონალური, ეკონომიკური თვალსაზრისით ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის სისტემის შექმნა;
- პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავს ჯანდაცვის სფეროში საკუთრების სხვადასხვა ფორმის წახალისებას და თანაბარ შესაძლებლობებს, სამედიცინო ტექნოლოგიებისა და სამედიცინო სერვისების ბაზრის გაფართოებას;
- კერძო პარტნიორებისთვის ჯანდაცვის საინვესტიციო მიმზიდველობის ხელშეწყობი ბიზნეს კლიმატის ჩამოყალიბება.

ჯანდაცვის სისტემის განვითარებისა და მართვის ერთ-ერთ მეთოდად პროგრამულ-მიზნობრივი მართვა ითვლება. ჯანდაცვის ინოვაციური განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი მოდელის გამოყენებაზე დაფუძნებული სახელმწიფო რეგულირების მთავარი მახასიათებელია მისი ფოკუსირება საბოლოო შედეგზე. რაც შეეხება ჯანდაცვის სექტორს, პროგრამის მიზნობრივი მართვის საბოლოო შედეგი გამოიხატება მოსახლეობის სიკვდილიანობის, ინვალიდობისა და ავადობის შემცირებაში, სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის


ამაღლებაში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაში და სხვ.

შემუშავებული მიზნობრივი პროგრამის მოდელი საშუალებას იძლევა განსაზღვროთ მენეჯმენტის ძირითადი ელემენტები კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში, რათა მათზე გავლენის ქვეშ იმართოს ინოვაციის პროცესი. საბაზრო ინოვაციების მრავალფეროვნებით, მათი პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა ინოვაციებში ინვესტიციების საკმარისი მოცულობის მოზიდვა. ამიტომ, სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც პირველები დაუფლებიან ეფექტურ სიახლეებს, იღებენ მნიშვნელოვან უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქვემოთ მოცემული ჯანდაცვის ინოვაციური პროცესის კონცეფტუალური და პროგრამულ-მიზნობრივი მოდელი (იხ. ნახ. 11 და 12), რომელიზეც მითითებულია სამთავრობო უწყებები, პაციენტების ადვოკატირების ჯგუფები, ასევე პაციენტები, კლინიკები.



ნახ. 3. ინოვაციების კონცეფტუალური მოდელი ჯანდაცვაში [4]

ჯანდაცვის ინოვაციების პროცესში ზემოაღნიშნული აქტორების ამოცანაა ჯანდაცვის სექტორში კლიენტების ან მომსახურების მომხმარებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ხოლო სერვისების მომხმარებელთა მაგალითებია ჯანდაცვის ორგანიზაციები, კლინიკები, პაციენტები და მათი ოჯახები და ა.შ. ეს კონცეპტუალური მოდელი მოიცავს ჯანდაცვის სფეროს ინოვაციების ხელშეწყობაში მთავარ საინიციატივო ჯგუფებს და დაინტერესებული მხარეებს, რომელთა შორის აღსანიშნავია, სამთავრობო უწყებები, პაციენტების ადვოკატირების ჯგუფები, ასევე პაციენტები, კლინიკისტები. ჯანდაცვის ინოვაციების პროცესში ზემოაღნიშნული მონაწილეების მუშაობას განსაზღვრავს კლიენტები ან მომსახურების მომხმარებელთა საჭიროებები, სადაც თავის მხრივ, მომსახურების მომხმარებლებში შედის ჯანდაცვის ორგანიზაციები, კლინიკები, პაციენტები და მათი ოჯახები და ა.შ.



ნახ. 4. ჯანდაცვის სისტემის ინოვაციების განვითარების პროგრამულ-მიზნობრივი მოდელი [3]

ინოვაციური პროცესი, რომელშიც ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარება მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის ნაწილია, მოიცავს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას ინვესტიციების სრულ დაბრუნებამდე. ინოვაციური აქტივობა ასევე მიმდინარეობს ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის შემდგომ ფაზებში მისი ნაწილობრივი გაუმჯობესება, რომელიც ეფუძნება ინოვაციური ტექნოლოგიების გაუმჯობესებას ან ახალი მოდელის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროცესი შეიძლება განხორციელდეს როგორც ჯანდაცვის ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ. ინოვაციური პროცესის გარედან წარმოშობის გამო, აუცილებელია მჭიდრო ურთიერთქმედება იმ ინოვაციურ კომპანიებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ავითარებენ და ამოწმებენ ამ ტექნოლოგიებს. ხოლო, ინოვაციურ კომპანიებს შეუძლიათ

შეასწორონ ინოვაციური პროდუქტი, რომელიც წარმოიშვა ჯანდაცვის დაწესებულებაში, აქცევს მას უკეთეს პროდუქტად. ეს პროცესი აუცილებელია, რადგან ბევრ სიახლეს, რომელიც ხდება სამედიცინო დაწესებულებებში, არ გააჩნია საკმარისი რესურსი კონკრეტული ტექნოლოგიის შესამუშავებლად.

ამასთან, ასეთი ორგანიზაციების შეზღუდული რესურსები ქმნის საფუძველს ინოვაციურ კომპანიებთან, კვლევით სამუშაოებთან ანუ R&D-თან პარტნიორობის ჩამოყალიბებისთვის, რათა შეიქმნას პროდუქტი, რომელიც დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს მისი პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობით. ამრიგად, ჯანდაცვის სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიები არის სამედიცინო მომსახურების ბაზარზე რეალიზებული შედეგი, მიღებული კაპიტალის ინვესტიციიდან ახალ ოპერაციაში (ტექნოლოგია, პროცესი), სადაც დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებისა და მიღწევისთვის პროგრამის აქტივობები უნდა იყოს მიზანმიმართული, ურთიერთდაკავშირებული, დროსა და სივრცეზე ორიენტირებული, რესურსებით უზრუნველყოფილი და შემსრულებლებთან განხორციელების ვადებთან შეთანხმებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელიც უნდა იყოს დაცული ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას:

- ❖ პროგრამის მიზნების და ამოცანების დააბალანსება;
- ❖ პროგრამული ღონისძიებების მიზნობრივი მიმართულება;
- ❖ პროგრამის სავარაუდო ხასიათის გათვალისწინება (ალტერნატიული პროგრამული ღონისძიებების შემუშავება სამედიცინო და სოციალური მდგომარეობის განვითარების შესაძლო ვარიანტების გათვალისწინებით ქვეყანასა და რეგიონში);
- ❖ მოცემული მიზნობრივი პროგრამის სხვა მიზნობრივ პროგრამებთან ურთიერთობის გათვალისწინება (სიტუაციის პარამეტრებზე ერთობლივი ზემოქმედება);
- ❖ პროგრამული ღონისძიებების მიზნობრივი ხასიათი;
- ❖ საჭირო რესურსების ცენტრალიზაცია;
- ❖ პროგრამის განხორციელების პროცესის მართვადობის უზრუნველყოფა.

ჯანდაცვის სფეროში ინოვაციური პროექტის ეფექტური განხორციელების მექანიზმი მოიცავს მართვის სპეციალურ მეთოდებს, სადაც გაითვალისწინება არა მხოლოდ სტრატეგიის შემუშავება, არამედ სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, დაფინანსების ახალი საშუალებების ძიება, ინოვაციური საქმიანობის შედეგები და მონიტორინგი, სადაც პროექტის დაფინანსების წყაროს არჩევანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი ფოკუსირება და მოცულობა, აგრეთვე, თავად პროექტის განვითარების ეტაპი ან სამედიცინო ორგანიზაციების კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. ინვესტიციების მოცულობა ინოვაციურ პროექტში იზრდება და ინვესტიციების რისკები მცირდება განვითარების ახალ ეტაპებზე გადასვლისას. ამ პრობლემის ერთ-ერთი ოპტიმალური გადაწყვეტა იქნება ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სხვადასხვა წყაროების კომბინაცია, როგორცაა სახელმწიფო მხარდაჭერა (მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში ინოვაციური პროექტების მხარდასაჭერად სახელმწიფო ფონდის შექმნა), უმაღლეს პროფესიული განათლების კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინტეგრაცია ერთობლივი საინოვაციო პროექტების დაფინანსების სფეროში და ბოლოს, თავად სამედიცინო

დაწესებულების ფინანსური რესურსების გამოყენება. ამავდროულად, ამ დაფინანსების წყარო უნდა იყოს უკვე შექმნილი ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების სამედიცინო მომსახურების ბაზარზე აქტიური პოპულარიზაციის შედეგად მიღებული მოგება.

დღეისათვის სულ უფრო ხშირად ხდება სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის დამყარება ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად და ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP/Public-Private Partnership) მოდელის გაჩენა დაკავშირებულია ისეთ პროცესებთან, როგორცაა ბაზრის საქმიანობისა და მასში სახელმწიფოს როლის სინერგია, ასევე სახელმწიფოს მხრიდან გრძელ-ვადიანი ფინანსურად ინტენსიური და გრძელვადიანი განხორციელების აუცილებლობა, სოციალურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები.

როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ნაწილი, PPP გაგებულია, ფინანსური მოდელების სახით, რომლებიც საშუალებას აძლევს საჯარო სექტორს მოიზიდოს და გამოიყენოს კერძო სექტორის კაპიტალი, რათა გააუმჯობესოს რეგიონული მთავრობის და PPP პროექტში ჩართული კერძო კომპანიების პერსპექტივები. PPP პროექტის ძირითად მახასიათებლებს შორის შეიძლება გამოიყოს: საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხანგრძლივობა საერთო მიზნის მისაღწევად, პარტნიორებს შორის პროექტის განხორციელებისას ხარჯებისა და რისკების გაზიარება და სხვ. [5, 6, 7]

PPP პროექტების განხორციელების მსოფლიო გამოცდილება გვთავაზობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის ურთიერთქმედების შემდეგ ძირითად ფორმებს:

- ✚ მომსახურების ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ხანგრძლივობა 5 წელზე ნაკლები);
- ✚ მართვის კონტრაქტი (ტიპიური ხანგრძლივობა 3-დან 5 წლამდე);
- ✚ აქტივების იჯარა (ჩვეულებრივი ხანგრძლივობა 5-დან 10 წლამდე);
- ✚ კონცესია (ტიპიური ხანგრძლივობა 10-დან 30 წლამდე);
- ✚ BOOT მოდელი (Build, Own, Operate, Transfer/აშენება, ფლობა, ოპერირება, გადაცემა);
- ✚ მოდელი BOT (Build, Operate, Transfer/აშენება, ექსპლუატაცია, გადაცემა);
- ✚ მოდელი BOO (Build, Own, Operate/აშენება, ფლობა, ოპერირება/აშენება, ფლობა, ოპერირება) (ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის).
- ✚ ზემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულებების ფორმების ფარგლებში გამოიყენება შემდეგი PPP სქემები:
- ✚ საპირისპირო BOOT (საჯარო სექტორი აფინანსებს და ქმნის ინფრა-სტრუქტურას, გადასცემს მას კერძო კომპანიას ოპერირების მიზნით, რომელიც თანდათან იძენს მის მფლობელობას);
- ✚ DBFO (Design-Build-Finance-Operate/დაპროექტება-მშენებლობა-დაფინანსება-ექსპლუატაცია);
- ✚ DBMF (Design-Build-Finance Management/დაპროექტება-მშენებლობა-მართვა-დაფინანსება). PPP პროექტების განხორციელების მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზოგიერთი PPP მოდელი ძალიან სპეციფიკური და ეფექტურია ჯანდაცვის სექტორისთვის:
- ✚ BOLB (buy, own, leaseback/ყიდვა, ფლობა, იჯარით დაბრუნება) – კერძო პარტნიორი აშენებს საავადმყოფოს, ობიექტი მიყიდება საჯარო სექტორს იმ პირობით, რომ ის იქნება უკან იჯარითაღებული და მის მიერ მართული;

✚ Alzira მოდელი – კერძო პარტნიორი აშენებს და მართავს საავადმყოფოს, პარალელურად აფორმებს კონტრაქტს მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფისთვის მომსახურების მიწოდების შესახებ. ეს მოდელი შეიქმნა ალზირას ჰოსპიტალში ვალენსიაში, ესპანეთი, რომელსაც მართავს კერძო კონსორციუმი, რომელიც თავის მხრივ, სამედიცინო მომსახურებას უწევს კონკრეტულ მოსახლეობას ყოველ ადამიანზე წლიური გადასახადის სანაცვლოდ. [3]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვყოთ მედიცინის სფეროში ინოვაციური საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ყველაზე ოპტიმალური, მაგრამ ამავე დროს ძალიან ძვირი გზა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის რადიკალურად გასაუმჯობესებლად, რაც მოითხოვს განვითარებულ ინფრასტრუქტურას მოწინავე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების, სპეციალისტ-ინოვატორების უნარების, ცოდნისა და ხელმისაწვდომობის სახით. ამ მხრივ, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში ინოვაციური პროცესების ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეფექტურ სახელმწიფო რეგულირებას და სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკას, რაც გულისხმობს პროგრამულ მიზნობრივ მოდელებზე დაფუძნებული ინოვაციური პროექტების შექმნას და განხორციელებას. ეროვნული სტრატეგიული მიზნებისა და საბიუჯეტო მხარდაჭერის გარეშე, მედიცინაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება განწირულია წარუმატებლობისთვის.

ინოვაციის პროცესი ჯანდაცვის სფეროში არის კონკრეტული ნაბიჯების თანმიმდევრული ჯაჭვი, რომელმაც უნდა მიიყვანოს ინოვატორები იდეის შექმნიდან ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის განვითარებამდე. ეს, თავის მხრივ, აერთიანებს ჯანდაცვის სისტემას ბიზნესთან, რომელსაც აქვს საერთო ინტერესი მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ინოვაცია მედიცინაში გულისხმობს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის აქტიურ განვითარებას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე ხარჯების შემცირების მთავარ ინსტრუმენტს და იმავდროულად მეწარმეებისთვის ახალი „ნიშების“ შექმნის არხს. ეფექტური ინოვაციური საქმიანობა მედიცინაში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კომფორტის ხარისხობრივი გაუმჯობესების, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის გზით ქვეყნებს საშუალებას აძლევს იყვნენ წარმატებული გლობალურ დონეზე, რაც არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი. [8]

საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის მართვის სრულყოფის მიმართულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის მოცვის მთავარ შემადგენელს და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარ საზომს, სადაც მოცვაში უნდა დაარეგულირდეს არსებული ხარვეზები ღარიბი მოსახლეობის და ქრონიკული დაავადებების მქონე პირების უკეთ დაცვის პრიორიტეტულობით, სადაც მნიშვნელოვანია მომსახურების დონეების და ფასების უფრო ოპტიმალური რეგულაციების დანერგვა ჯანდაცვის რესურსების ეფექტიანად გამოყენების და პჯდ-ის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით.

ამრიგად, ჯანდაცვის გამართული და ეფექტიანი სისტემა, სადაც ოპტიმალურად და კოორდინირებულად იფუნქციონირებს ორგანიზაციული დონეები პირველადი, მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ორგანიზაციული დონეები, მთლიანობაში განაპირობებს ჯანდაცვის წარმატებულ და მდგრად სისტემას, სადაც საყოველთაო

ჯანდაცვას თავისი კუთვნილი ადგილი უკავია, იმ პრობლემების რაციონალურად გადასაჭრელად, რაც დღესდღეობით მსოფლიოს და მ. შ. ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. აღნიშნული პრობლემების ოპტიმალურად გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ე. წ. „სადაზღვევო სისტემის სინერგიული მოდელის“ საშუალებით, რომლის ძირითადი არსი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვაში მონაწილეობენ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი სადაზღვევო ორგანიზაციები და დაზღვეულს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მათგან მისთვის სასურველი და მისაღები, ანუ აქ, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემაში საბაზრო მექანიზმების ეფექტიანად გამოყენების და სახელმწიფო რეგულირების კოორდინირებული, დაბალანსებული ურთიერთთანამშრომლობა.

ინოვაციური, ელექტრონული და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ისეთი მიმართულებების ოპტიმალურ გადაწყვეტას, როგორცაა:

- ✚ ციფრული ჯანმრთელობის როლის ზრდა, რათა შესაძლებელი გახდეს საყოველთაო ჯანდაცვის მიზნების მიღწევა;

- ✚ ჯანდაცვის სექტორის მენეჯმენტის გაძლიერება და დაფინანსების სისტემის სამართლიანობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება;

- ✚ ელექტრონული ჯანდაცვის სექტორში ადამიანური რესურსების განვითარება ეფექტიანი ციფრული მომსახურების თვალსაზრისით და სამედიცინო პერსონალის ხელშეწყობა ინოვაციური პროფილის სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში ჩართულობის მიზნით;

- ✚ მაღალხარისხიან, ეფექტიან და უსაფრთხო მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ✚ საზოგადოებრივი და პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, რისკების ეფექტიანი მართვა;

- ✚ უცხოური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით საყოველთაო ჯან-დაცვის სტრატეგიის ფარგლებში საჯარო-კერძო პარტნიორობის, არაკომერციული სამედიცინო ორგანიზაციების და ინოვაციური ინფრასტრუქტურული სახეების როლისა და მოტივაციის გაზრდა, ჯანმრთელობის სოციალური სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის სისტემის დანერგვის გათვალისწინებით;

- ✚ ფინანსური დაცულობის გაძლიერება, სახელმწიფოს მხრიდან ჯან-დაცვაზე ხარჯების ზრდა, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის სფეროში, ასევე სერვისების მოცვის მიმართულებით არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად ზომების მიღება და რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება. პრიორიტეტული ყურადღების დათმობა დაბალშემოსავლიანი ოჯახების და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანების ჯიბიდან გადასახადებისგან უფრო მეტი დაცულობის თვალსაზრისით;

- ✚ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახელმ-წიფო სახსრების განკარგვის მონიტორინგის სისტემის სრულყოფა და ეფექტიანი მართვა.

ლიტერატურა

1. საქართველოს 2022 – 2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია. თბილისი, 2022, 180 გვ.
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2021-2030 წლის გეგმა. თბილისი, 2021, 44 გვ.
3. <https://cyberleninka.ru/article/n/osobennosti-innovatsionnoy-deyatelnosti-v-meditisine>
4. <https://qje.su/ekonomicheskaya-teoriya/moskovskij-ekonomicheskij-zhurnal->
5. ვერულავა თ. ჯანდაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში: სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული და ფინანსური პერსპექტივა. თბილისი, გამომცემლობა „მავაპოლიგრაფი“, 2020, 421 გვ.
6. ვერულავა თ. ჯანდაცვის პოლიტიკა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 416 გვ.
7. ვერულავა თ. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინოვაციური მექანიზმი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ მასალების კრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2016, გვ. 130-134.
8. McPake B., Normand Ch., Smith S., Nolan A. Health Economics, An International Perspective. 4th Edition, Published by Routledge, 2020, 348 p.

სტატიაში ჩართულია 4 ნახაზი და 1 ცხრილი

Article received 2022-12-23